



ჰარუთიუნ ხუდანიანი

სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი,
სომხეთის რესპუბლიკა
harutyunkhudanyan@gmail.com



გამოჩენილი ქართველი ურარტოლოგის, გიორგი მელიქიშვილის ახალი, გამოუქვეყნებელი მასალები მისი პირადი არქივიდან: გ. მელიქიშვილი და არმენოლოგია

გ. მელიქიშვილის სიცოცხლეშივე გამოცემული ბეჭდური მასალისა და მისი სიკვდილის შემდგომ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მისივე ცნობილი მემუარების, აზრებისა და სხვა სტატიების გარდა, გამოჩენილი მეცნიერის უზარმაზარი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მასალები დღეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. აღნიშნული აკადემიური დანახებულების ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვით, ამ სტრიქონების ავტორმა გამოიკვლია გ. მელიქიშვილის გამოუქვეყნებელი მასალები.

საკვანძო სიტყვები: გიორგი მელიქიშვილი, არქივი, არმენოლოგია

გიორგი მელიქიშვილი - ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი, კონკრეტულად ურარტოლოგიასა და წინა აზიის ისტორიაში განსწავლული, უფრო ფართო პერსპექტივაში, ასევე შეიძლება ჩაითვალოს არმენოლოგად, ვინაიდან ურარტუ, მისი თითქმის 250 წლიანი არსებობით, სომხეთის მთიანეთის ისტორიის უმდიდრეს ეპოქებს წარმოგვიდგენს.

გ. მელიქიშვილის ასეთი აღქმა სულ უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდება, განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როდესაც მრავალი ახალი გამოცემა და აკადემი-

ური ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელთა წარდგენასა და განხილვას ადგილი ჰქონდა სამეცნიერო წრეებში. ამ თვალსაზრისით, გ. მელიქიშვილის მიერ 1960 წელს გამოქვეყნებული ურარტული ლურსმული წარწერების კრებული¹ უპრეცედენტო სამეცნიერო წარმატება გახლდათ ურარტოლოგიაში. ეს კრებული პირველწყარო იყო საგულდაგულოდ დამუშავებული მრავალტომიანი გამოცემის სახით მათთვის, ვინც ახლო აღმოსავლეთის, ამიერკავკასიის და, კერძოდ, ურარტუს, ასირიისა და ანტიკური მსოფლიოს ძლევა მოსილი სახელმწიფოების უძველესი ისტორიის შესწავლით გახლდათ დაკავებული.

ამასთანავე, გ. მელიქიშვილის სიცოცხლეშივე გამოცემული ბეჭდური მასალისა და მისი სიკვდილის შემდგომ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მისივე ცნობილი მემუარების, აზრებისა და სხვა სტატიების გარდა,² გამოჩენილი მეცნიერის უზარმაზარი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მასალები დღეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. აღნიშნული აკადემიური დაწესებულების ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვით, ამ სტრიქონების ავტორმა გამოიკვლია გ. მელიქიშვილის³ გამოუქვეყნებელი მასალები.⁴ კვლევითი საქმიანობის შედეგად, აღმოვაჩინეთ წერილები, მიმოხილვები, ხელნაწერი ასლები, გაზეთები, მოსაწვევები და სხვა სახის მასალები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სომხეთსა და არმენოლოგიასთან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით გ. მელიქიშვილის მასალებს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევარი მანუჩარ გუნცაძე ამუშავებს, შესაბამისად, ამ კვლევაში წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალას დღემდე არ გააჩნია საფონდო აღრიცხვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენაა გ. მელიქიშვილის ავტობიოგრაფია, რომელიც მოყვითალო ფურცელზე მისივე ხელით არის დაწერილი და მის ერთ-ერთ რვეულში გახლდათ მოთავსე-

1 Меликишвили Г. А. Урартские клинообразные надписи. — М.: Изд-во АН СССР, 1960. — 504 с.

2 გიორგი მელიქიშვილი 100: მემუარები, ისტორიული ეტიუდები, აზრები, სტატიები პერიოდულ პრესაში, მიმოწერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან: რედაქტორები: ნ. მელიქიშვილი, ს. სარჯველაძე, კორნელი კეკელიძე, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2019 (ქართულ ენაზე).

3 უღრმეს მადლობას ვუხდით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს ბ-ნ ზ. აბაშიძეს და ამავე ინსტიტუტის მკვლევრებს გ. მელიქიშვილის დაუმუშავებელი მასალების კვლევის ნებართვისთვის. ასევე ვ. კეკელიძის და მ. გუნცაძეს მათი მხარდაჭერისთვის. ასევე მენარმე ბ. მეღვინიანს და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ზ. ხოჭაბაძიანს - ფინანსური და მორალური მხარდაჭერისთვის.

4 მოცემულ აკადემიურ სტატიაში წარმოდგენილი მასალები პირველად ქვეყნდება.

ბული, სადაც ქართველი მეცნიერი მის გვარს მიუთითებს, როგორც ქსენოფონტოვს და არა მელიქიშვილს¹ (ფოტო 1). გ. მელიქიშვილი აქვე აღნიშნავს, რომ ფლობს ძველ ებრაულ, ასურულ-ბაბილონურ, ურარტულ, ძველ ბერძნულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ინფორმაცია გ. მელიქიშვილის მიერ სომხური ენის ფლობის შესახებ, რადგან მას ეს არასოდეს უხსენებია და მის ზოგიერთ ხელნაწერ წიგნში, სხვა ჩანაწერებთან ერთად, ძნელად თუ მოიძებნება რამე, ჩვენ მაინც ვხვდებით დახვეწილ ხელნაწერებს, შესრულებულს სომხურ ენაზე.

ამ კუთხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავად ხელწერა ეკუთვნის მელიქიშვილის მეუღლეს, არმენოლოგ ელენე დოჩანაშვილს, რომელიც, სავარაუდოდ, დაეხმარა მეუღლეს სომეხი მეცნიერების შრომების ზოგიერთი ნაწილის გადანერასა და თარგმნაში, მათ შორისაა – ჰ. აჩარიანის, გ. ლაფანციანის, თ. ავდალბეგიანის, მთავარეპისკოპოს მესროპ სმბატიანცის, გ. ალიშანის, კ. ბასმაჯიანის, ნიკოლოზ ადონცის, არქიეპისკოპოს ჰუსიკის და სხვათა ნაშრომები (ფოტოები 2-5). ამ ნაშრომების უმეტესობა ეძღვნება ურარტულ წარწერებს და მათი აღმოჩენის ისტორიას. ისინი მე-19 საუკუნეში ან მე-20 საუკუნის დასაწყისშია გამოქვეყნებული და ზოგიერთი მათგანი მოიცავს ლინგვისტურ კვლევას ურარტული და სომხური სიტყვების ეტიმოლოგიის და, განსაკუთრებით, ტოპონიმების, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მელიქიშვილმა გამოიკვლია იმ სომხური სიტყვების ეტიმოლოგია, რომლებიც, სავარაუდოდ, ურარტული წარმოშობისაა ან ნახსენებია ურარტულ ტექსტებში და ქართულშიც აქვთ პარალელები. ეს საკითხი გ. მელიქიშვილის ერთ-ერთ მთავარ კვლევით ინტერესს წარმოადგენს, რადგან მის ნაშრომებში ეტიმოლოგიას და მის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მეცნიერი ცდილობს, მოახდინოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ენობრივი რეკონსტრუქციები, დაადგინოს ამა თუ იმ ეთნოლინგვისტური საზოგადოებისა და ჯგუფის ტერიტორიული განაწილება.

გ. მელიქიშვილის არქივში აღმოჩენილ სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია სომხეთთან და სომეხ ხალხთან, განსაკუთრებული ინტერესით და სიუხვით გამოირჩევა ერე-ბუნი-ერევნის 2750-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაწვევები და გაზეთები (ფოტოები 6, 8).

¹ აღსანიშნავია, რომ წიგნის პირველივე გვერდებზე წარმოდგენილ დოკუმენტებსა და საარქივო პირველად წყაროებში, რომელიც გამოჩენილი მეცნიერის დაბადების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, გ. მელიქიშვილის მამის წინაპრები, მელიქიშვილის ნაცვლად, ქსენოფონტოვის გვარს ატარებდნენ. ამის შესახებ დანვრილებით იხილეთ: გიორგი მელიქიშვილი 100: მემუარები, ისტორიული ეტიუდები, ფიქრები, სტატიები პერიოდულ პრესაში, მიმოწერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან: რედაქტორები. ნ. მელიქიშვილი, ს. სარჯველაძე, თბილისი, 2019, გვ. 19-25 (ქართულ ენაზე).

1968 წლის 17-19 ოქტომბერს გამართული ზეიმი უდიდესი მოვლენა გახლდათ არა მხოლოდ საბჭოთა სომხეთის, არამედ მთელ მსოფლიოში მცხოვრები სომეხი ხალხისთვის. ეს აგრეთვე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული სსრკ-ში, სადაც მოწვეული იყო მრავალი მონაწილე და სტუმარი 15 მოძმე საბჭოთა რესპუბლიკიდან და სხვა მეგობარი ქვეყნებიდან. სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში, აკადემიკოსმა ვიქტორ ამბარცუმიანმა ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო სხდომა ჩაატარა, რომელშიც სხვადასხვა სფეროს არაერთი მეცნიერი მონაწილეობდა; მათ შორის ისტორიკოსებიც იყვნენ. ერევნის საქალაქო საკრებულოდან, საიუბილეო კომიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან გ. მელიქიშვილს გაუგზავნეს მიპატიჟებები. მოწვევებისა და გაზეთების მრავალფეროვნებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი მეცნიერი დიდი პატივისცემით და მოწონებით სარგებლობდა სომეხ ხალხში. მეორე მხრივ, თავად გ. მელიქიშვილის მიერ მოსაწვევებისა და გაზეთების შენახვა მეტყველებს მეცნიერის კეთილგანწყობასა და დაუვინყარ მოგონებებზე მასპინძელ მხარესთან მიმართებაში. დოკუმენტების მეორე ნაწილი სომეხ მეცნიერებთან და მათ ნაშრომებთან დაკავშირებულ მიმოხილვებს, სამეცნიერო დისკუსიებს, წერილებსა და მიმოწერას ეთმობა.

მათ შორის აღსანიშნავია, გ. მელიქიშვილისა და მისი კოლეგის, ურარტოლოგ ნ. არუთინიანის მიმოწერა. აგრეთვე სომხური აკადემიური ჟურნალის „სოციალური მეცნიერებების მაცნეს“ მთავარ რედაქტორთან, ვ. მიქაელიანთან მიმოწერა. ასევე აღსანიშნავია რეცენზიები მ. კატვალიანის, დ. სარქისიანის და სხვათა აკადემიურ ნაშრომებსა და დისერტაციებზე.

გ. მელიქიშვილისადმი მიწერილ ხელნაწერ წერილში (რუსულ ენაზე, 09.09.1977, ფოტო 9), სომეხი ურარტოლოგი ნ. არუთინიანი, რომელმაც ამ უკანასკნელს მისი ტექსტები წარუდგინა, აღნიშნავს, რომ ჰაიასიანის ტოპონიმებსა და ეთნონიმებს გარკვეული პარალელები აქვთ სომხურ ტოპონიმებსა და ეთნონიმებთან, რაც ძველ პროფესიულ ლიტერატურაში დასტურდება.

გარდა ამისა, ნ. არუთინიანი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ძველი ქართველებისა და სომხების ტოპონიმური და ეთნონიმური მასალა მნიშვნელოვან დონეზეა გამოხატული ურარტული და ასურული ლურსმული წარწერებით. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, იგივე შეიძლება ითქვას, ერთის მხრივ, სომხურსა და ქართულს, ხოლო, მეორე მხრივ, ურარტულს შორის არსებულ ზოგიერთ საერთო მახასიათებელზე. წერილში, ნ. ჰარუტიუნიანი გ. მელიქიშვილს ერთ-ერთი სომეხი არქეოლოგის გარდაცვალების შესახებ ამცნობს, თუმცა არ ახსენებს მის სახელს და ამბობს, რომ სომხეთს დიდხანს არ ეყოლება ასეთი გამორჩეული სპეციალისტი. ვინაიდან გამოჩენილი სომეხი არქეოლოგი, ლჩაშენის არქეოლოგიური ექსპედიციის

ხელმძღვანელი არუთინ მნაცაკანიანი 1977 წელს გარდაიცვალა და წერილი 1977 წლის შემოდგომით არის დათარიღებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს უკანასკნელი იგულისხმება ნ. არუთინიანის წერილში.

გ. მელიქიშვილის ხელნაწერ რეცენზიებში (ფოტოები 10, 11) დ. სარქისიანის სტატიაზე ნათქვამია, რომ იგი თითქმის არ შეიცავს მეცნიერულ სიახლეს, იმეორებს რა ზოგადად უკვე ცნობილ ისტორიულ ქვშმარიტებას. ამასთანავე ეს სტატია დაბალი დონის პროფესიული ენითაა დაწერილი.

გ. მელიქიშვილისადმი მიწერილ წერილში (რუსულ ენაზე, 18.11.1983, ფოტო 12), ვ. მიქაელიანი - „სოციალურ მეცნიერებათა მაცნეს“ მთავარი რედაქტორი - გ. მელიქიშვილს დ. სარქისიანის კიდევ ერთი სტატიის განხილვას სთხოვს. რეცენზიის შინაარსიდან (რუსულ ენაზე, 30.11.1983, ფოტო 13) ირკვევა, რომ გამოჩენილი მეცნიერი ისტორიული რეალობის ფართო სპექტრის შერწყმით, პროფესიონალურად და ოსტატურად ასაბუთებს და ადასტურებს სტატიის აკადემიურ ჟურნალში გამოქვეყნების მიზანშეუწონლობას.

გ. მელიქიშვილის (რუსულ ენაზე, 25.11.1980, ფოტო 14) რეცენზიაში მ. კატვალიანის დისერტაციაზე, სათაურით „სომხეთის მთიანეთში პირველი ერთიანი სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესი და აბორიგენული ტომების კონსოლიდაცია ძვ.წ. მე-9 - მე-6 სს.“ - მეცნიერი ნაშრომის რამდენიმე სუსტ მხარეზე მიუთითებს, თუმცა, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ მ. კატვალიანი იმსახურებს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გ. მელიქიშვილის მიერ დაწერილი ეს რეცენზიები ყოველთვის არ იყო ავტორის სასარგებლოდ, ამას ჩვენ ვხედავთ დ. სარქისიანის გამოუქვეყნებელ სტატიაზე დაწერილი მიმოხილვის შემთხვევაში, ვ. მიქაელიანის „სოციალურ მეცნიერებათა მაცნეს“ მოთხოვნის საპასუხოდ. მიუხედავად ამისა, ეს წერილობითი მტკიცებულებები, ზოგადად მოწმობს სომეხ მეცნიერებთან მჭიდრო და მეგობრულ კავშირებზე.

გ. მელიქიშვილის მასალების საინტერესო ნაწილია საბჭოთა პრესის უნიკალური ნიმუშები - გაზეთების, „საღამოს ერევანი“ და „კომუნისტი“, (ფოტოები 15-18) სპეციალური ნომრები, რომლებიც პირველ გვერდებზე ასახავს ერეზუნი-ერევნის 2750 წლის იუბილეს, დღესასწაულებს და ქალაქის მოკლე ისტორიას, აგრეთვე, ურარტულ ციხესიმაგრე ერეზუნს, რომელიც ძვ.წ 782 წელს მეფე არგიშთის მიერ დაარსდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არმენოლოგიის ქრილში მოცემული სტატია არის წინასწარი კვლევა, რომელიც გ. მელიქიშვილის მასალების ზოგიერთ საარქივო დოკუმენტს ეყრდნობა, მაშინ, როცა ცნობილი ქართველი ურარტოლოგის ჯერ კიდევ დაუარქივებელი მასალების უმეტესობა შეუსწავლელია.


Автобиография

Я, Георгий Александрович Ксенофонов,
 родился в 1918 году в гор. Тбилиси Груз.
 С.С.Р. в семье мелкого служащего. Учился
 в Тбилисской 14^{ой} полной средней школе,
 которую окончил в 1935 году отличником. В
 том же 1935 году поступил на исторический фак-
 культет тбилисского государств. университета.
 Во время учебы в университете принята участие
 участие в работе студенческих научных кружков, затем
 докладов на этих кружках, а также на общеуниверси-
 тетских студенческих научных собраниях. В 1939 году
 окончил исторический факультет университета
 дипломом с отличием. В том же 1939 году был
 зачислен аспирантом тбилисского университета
 по специальности истории древнего Востока. В 1941
 году, тем же, по решению президиума академии
 наук Гр.С.С.Р., перевели в аспирантуру историч.
 истории академии наук Гр.С.С.Р., где я продол-
 жаяю работу до сих пор, специализируюсь

(ფოტო 1: წინა მხარე) (Photo 1: the front side)


(ფოტო 1: უკანა მხარე) (Photo 1: the reverse side)


по истории древнего Востока.
 Во время учебы в аспирантуре изучал
 языки: древнееврейский, ассиро-вавилонский,
 урартский (у проф. Г. Черепан), древнеармянский
 (у проф. С. Каухчишвили), а также иностранные
 языки: французский, английский, немецкий.
 Кроме того изучал историю стран древнего
 Востока и Грузии (под руководством канд. С. Зинченко
 и диссерт. историч. материализма.
 Теперь, продолжая работу по специальности
 вышеупомянутой диссертации в работе
 над диссертационной работой „Византизм
 и урартского государства“
 С 1932 года являюсь членом В.А.К.С.М.



(ფოტო 2) (Photo 2)


(ფოტო 3) (Photo 3)






(ფოტო 4) (Photo 4)


(ფოტო 5) (Photo 5)






(ფოტო 6: წინა მხარე) (Photo 6: the front side)
(ფოტო 6: უკანა მხარე) (Photo 6: the reverse side)






(ფოტო 7: წინა მხარე) (Photo 7: the front side)
(ფოტო 7: უკანა მხარე) (Photo 7: the reverse side)






(ფოტო 8: წინა მხარე) (Photo 8: the front side)
(ფოტო 8: უკანა მხარე) (Photo 8: the reverse side)





(ფოტო 9: წინა მხარე) (Photo 9: the front side)

(ფოტო 9: უკანა მხარე) (Photo 9: the reverse side)



7 Dec 1983
3.10.83

Дзуб

В статье В. Н. Саркисяна «Создательская роль реформ урартских царей» предельно разоблачена злоба и злое влияние этого автора урартологии царя Сардура II (УКН, 155 G), с кем никто до сих пор не вложил свои исследования. Наиболее остроумную интерпретацию этой надписи предложил И. М. Давленов (см. его статью «Некоторые данные о социальной структуре Урарту» в Сборнике научных сообщений В. И. Тюменева, М.-А, 1963). Автор статьи этого письма не был в состоянии понять смысл надписи, если не принять во внимание на ней не только буквы, а форму буквы «Г» и «И» и «И» как и «небольшого знака». Вспомните же В. Н. Саркисяна близкого рода владыка в большинстве случаев представлял хором известные инициалы, которые никак не вытекают из данной надписи. Литературные «формальные» статьи также не стали на должной высоте. Она, но некому мнению, не может быть опубликована в каком-либо научном журнале.

Г. Меликян-Блак
28.12.1983

(ფოტო 11) (Photo 11)

(ფოტო 12) (Photo 12)

СЕРВИСЪ ИСК. ЧИТАТЕЛЯМЪ ВЪВЕЩАЮЩЕ
«ЦЕНТРЪ НАУЧНОГО АНАЛИЗА И ШКОЛЫ ИНИЦИАТИВЪ»
АКАДЕМИЯ НАУК АРМЯНСКОЙ ССР
РЕДАКЦИЯ ЖУРНАЛА «ВЕСТНИКЪ ОБЩЕСТВЕННЫХЪ НАУКЪ»

№ 10 . ноябрь . 1983 г.

Копия, опубликована в № 10, стр. 10-12
Греческая, Ереван 24, тел. 34-13-92


Глубокоуважаемый Георгий Александрович!

Убежденная просьба и Вам, если возможно, ознакомиться со статьей Д. Саркисяна и дать отзыв для ее публикации в нашем журнале.


Главный редактор журнала
«Вестник общественных наук»
АН Армянской ССР
В. А. МИКАЭЛЯН

Адрес ред.: 375018, Ереван, пр. Маршала Баграмяна, 24-Г.
IX этаж, комн. 104-106.

108



(ფოტო 14: წინა მხარე) (Photo 14: the front side)
(ფოტო 14: უკანა მხარე) (Photo 14: the reverse side)





(ფოტო 15) (Photo 15)

(ფოტო 16) (Photo 16)





(ფოტო 17) (Photo 17)

(ფოტო 18) (Photo 18)

